

ალექსანდრე გარემართიშვილი



მუზეუმი



K 6. 862  
3 F 84. 936  
3

308-2000  
ავტომატური

გაცოლილება V

გენერალური

№ 11

სამახალეო „საქონო კუკუხიანები“  
63021 1925



## ତେବେରୁ ପାଦମୁଖରୁ ଅମ୍ବାନାଗ୍ରହି

გამომცემლობა „საბჭოთა კავკასიონი“ იწყებს „გლეხის შიბ-ლიტოთეკის“ გამოცემას, რომელიც ჩვენი სოფლის მუზეუმების უმთავრეს საკითხების შესახებ დაახლოებით 100-მდე წიგნაქს შეიცავს, და მოგმართავთ თქვენ, მკითხველო-გლეხებო, თხოვნით, გარდა „გლეხის შიბლიოთეკის“ გლეხთა შორის გაფრცელებისათვის ხელის შეწყობისა, აცნობოთ გამომცემლობას ყველა თქვენი სურვილი და შენიშვნები ჩვენი გამოცემების შესახებ:

1) რამდენად გასაგებად არის მოთხოვობილი ამბავი ჩეკის გა-  
მოცემებში და რა ცვლილებები და გაუმჯობესება უნდა იყენეს ზე-  
ტანილი ამ მხრივ გმოკემბრიში?

2) რამდენად ამოწურულია სავებით საკითხი, საქმაო თვალსაჩინოდ არის შედგენილი სურათები და რა ნაკლი აქვს წიგნაჟს ამ მხრივ?

3) კიდევ რა ახალი საკითხის გაშუქება არის, თქვენის აზრით, საჭირო შემდეგ გამოცემებში, გამომცემლობის მიერ განზრაბულ წიგნია დამატებით და ჩვენი სოფლის მეურნეობის პირობებთან ზე-ფარილებით?

განსაკუთრებულ იმედს არა მარტო „ვლეხის ბიბლიოთეკის“ გაერცელებაში, არამედ ჩვენი მეოთხელი-გლეხების კოლექტიური სურვილებისა და შენიშვნების გამარავა-ასახვაში, გამომცემობაში ამყარებს ჩვენს სოფლის მასწავლებლებშე, აგრძონომებზე და ბეითლებზე. გამომცემლობა მოგმართავთ თქვენ, ამხანაგო მასწავლებლები, აგრძონომებო და ბეითლებო, და გთხოვთ ამ მიზნით სოფლიდ მოაწყოთ ხმამაღლა კითხვა „ვლეხის ბიბლიოთეკის“ წიგნებისა და წაკითხვების შემდეგ—აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ცალკე შენიშვნების და სურვილის ჩაწერა წიგნების შინაარსის, სურათების ოვალნათლივობის, დამატებითი საკითხების და სხვათა შესახებ. ეს შენიშვნები უნდა გაღმიოვ ზავნოს გამომცემლობას.

გამომცემლობა დიდის მაღლობით მიიღებს და გამოიყენებს ყველა რჩევას და სურვილს ამხანაგ გლეხებისა და სოფლის ყველა მნიშვნელობის მხრიდა.

„კორესპონდენცია „გლეხის ბიბლიოთეკის“ შესახებ უნდა გად-  
სახვნოს შემდეგი მისამართით:

ლოილისი, რუსთაველის პროსპ., № 8, გამომცემლობა „საბჭოთა კულტურის მუზეუმის მიერ“.

1968  
2562

הנְּגָמָן

Tschirnhaus 9

9145

## ცხვრის მოშენება.

(მეცნარეობა).

საქართველოს მთიან ადგილებში, მეცნარეობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ ადგილებში მეცნარეობა გლ ხის არსებობის მთავარი წყაროა, რადგან აქ მიწის ბუშაობა მისთვის არ არის საიმედო. ხელობა: ხორბლეულობას ხშირად აფუჭებს სეტყვა და ყინვები, პური და ქრი ყოველ წელს ვერ ასწრებს დამუშიფრების, რის გამოც მეცნარეებს პურის და სიმინდის ყადვა საქართველოს მდაბლობ ადგილებში უხდებათ.

აღმოსავლეთ საქართველოში უმეტესად თეთრი თუშური ცხვარი არის გავრცელებული. შედარებით ნაკლებად ცხვარი „დონმა“; (თუშური და თათრული ცხვარის „ბოზახი“ ს ნარევი) დუშეთის და გორის გაზრის ზოგაერთ ადგილებში ვეხვდება შავ მატყლიანი ოსური ცხვარი, და დასავლეთ საქართველოში კი—თეთრი იმერული ცხვარი, რომელსაც გრძელი და მსუქანი კუდი აქვს. კავკასიაში საოკეთესო ჯიშის ცხვრად თუშურ-ქართული ცხვარი ითვლება, რომელიც განთქმულია თავისი რბილი, თეთრი და მბრძყინავი მატყლით და კარგი ლირსების ხორცით.

საუკეთესოა თუშური მატყლი ახალქალაქის მაზრიდან, ქანის ხეობიდან (ახალგორისა), გორის და თაონეთის მაზრიდან და სხვა ადგილებიდან.

საერთაშორისო ოშამდე საქართველოდან უკვე წლიურად გაჰქინდათ მოსკოვში და სხვა ქვეყნებში 250 000 უთამდე თუშური მატყლი. თუშური მატყლი ამ უმაღაც დიდი რაოდენობით გააქვთ საქართველოდან. თუშური ცხვრის ტყავიც დიდალი გაჰქინდათ ომამდე ნიერგოროდის ბაზარზე იგრძელებოდა ქვეყნებშიც.

თუშური ცხვრის რძისაგან მზადდება საუკეთესო ლირსების თუშური ყველი.

ცხვარი „დონმა“ როგორც გარევნობით, ისე ფერითაც ძლიერ წააგავს თუშურ ცხვარს, მხოლოდ მატყლი უკრო უხეში აქვს.

იმერული ცხვარი ტანით თუშურ ცხვარზე უფრო პატარებული მატყული მას თეთრი, წმინდა და რბალი აქეს და ხორცი კარგი, რამ თუშურ ცხვარზე უფრო ცოტა გამოსავალი აქეს. ოსური შავი ფერის ცხვარი უხაშებ მატყულს და კარ ხორცის იძლევა. მათი დამახა-სიათებელია მსუქანი კუდი, რომელიც წვეტიან ბოლოთი თავდება აერცელებენ მათ დუშეთის და გორის მაზრებში. თუშური ცხვარი უფრო დიღი და გამოსავლიანია დანარჩენ ქართულ ჯაშის ცხერებ-ზე. ის თანდათანობით იქერს მათ ადგილს მატყულის წარჩინებული ლირსების გამო.

ნ სწავლმა კაცებმა კარგად შეისწავლეს თუშური მატყული და იცნეს გარგისად საუკეთესო ქსოვილების და თხელ მაუდეულობის დასახურიდებლად. თუშური ცხვარი ყველაზე უფრო ხელო უდგას თა-ვის მ. ტყლის თვისებებით განთქმული წმინდა მატყულოვან „მერინო-სის“ ცხვრის მატყულს.

განსაკუთრებით კარგ მატყულს იძლევა თუშური ცხვრის ბაზა-ნი ექვსი თვის ასაკამდე. ცხვრის რაოდენობა საქართველოში ძლიან შემცრდა საერთაშორისო და სამოქალაქო რომის გამო, საძოვრების, განსაკუთრებული მათ საზამთრო საძოვრების შემცრების, ზამთრობით ცხვრების ცუდი კვების, ცხერების ცუდი გამრავლების, სხვა და სხვა გადამდებ სენისა და სხვა მიზეზების გამო.

თუშური ცხვარი ცველად უფრო მოზრდილ ტანისა და მეტი ნაყოფიერი იყო, ვიდრე ეზლა არის. ამის მიზეზი მრავალია. მათში ცველაზე მნიშვნელოვანია საკედის საკითხი. თუკა ნაწილი საქართ-ველის საზაფხულო საძოვრებისა მეზობელ რესპუბლიკების ხელში გადავიდა, საქმარისი რაოდენობა მაინც დარჩა. მაგრამ, სამწუხაოდ, ეს იდგილები რაოდ და არიან დაშორებული შირაქის და ყარაიას საზამთრო საძოვრებიდან. ეს ადგალებია ბორ-ჩალოს, ახალქალაქის, დეშეთის და თავანეთის მაზრების მთიანი ადგილები, დალესტანის მთის ფერდობი, მაგ ლეკის მთა და სხვა. ამის გამო ჩეკნ მეცხვარეებს უადებათ ცხვრის დიდ მანძილზე გადა-ცვანა და გზაში მოივალი დაბრკოლებების გადალახვა.

საზაფხულო საზოვრებსაც ვერ ხვარობენ წესიერად ჩვენი მე-ცხვარეები. ისინი ზომაზე მეტ ცხვარს უშვებენ საძოვაოზე, ამის გამო საძოვარი ადგილები ითელება საქონლისაგან და ნაგვიანდება ცხვარ-გის ბალახებით, ქვებით, ხვინჭით და სხვა.



ზოგი მეცხვარე, რომლებსაც მთებზე კარგი სათიბი არგიღიუნდა აქვს, ნის მაგრე, რომ ის გათიბოს და თივა საზამთროდ შეინახოს და ციც ზამთრში ცხვრები უშემელობისაგან არ დაელებოს, ასეთ სათიბ ადგილზე ცხრების აპრ ბინებს. სხვა ქვეყნებშიაკ, მაგალითად შეიიცარიაშედაც გადაჰყიფთ ცხვრები საზაფხულოდ მთებზე სიძოვრიდ, მიგრმ ასე ლწესრივოდ არ იფუჭებენ საბალახოებს: შეეიცარელები ცხვრებს პირველში საზაფხულო სიძოვრების ქვედა ნაწილებზე აძმებენ, სადაც გაზიაფხული უფრო ადრე დგება; შემდეგ უფრო მაღლა მთებზე გრაჰყიფთ. საზაფხულოდ კი სულ მთის მწვერვალზე ასრულებენ ცხვრების საზაფხულო ძობას. აქედან ცხვრები საზამთროდ ძველ ბრნაზე მოჰყიფთ და თივით ჰყებენ.

მაშადიმე შეეიცარელი ცხვარი მთელი ზაფხულის განმავლობაში საზროვნობს სოუკეთესო, მწვანე და წინანი ბალაზით, რის გამოც ზაფხულობით ცხვარი კეთდება და სურვება. მთავარი უპირატესობა ზექცემის მცხვდარებისა იმაში გამოიხ. ტკბა, რომ ყველა მეცხვარები კორპერაციული შექრთებულები არიან და ძალიან უყრთხილდებიან საზაფხულო სიძოვრებს, არ უზომენ მასზე ზედმეტ ცხვარს და სექონელს, რადაც შეუძლია გამოიწვიოს სიძოვრის სრულიად გაფუჭება. იმ შეცხვარებს, რომელიც ზომაზე მეც ცხვარს გაუშებს საძოვიაზე, ჯარიმის ახდევინებენ იმ სიძოვრის გასაუმჯობესებლად.

იქ, სადაც სიძოვარი გაფუჭდა და ცოტა ბალას იძრევა შეეიცარელები იონჯის, სამყურს და სხვა ბალახებს სოესენ, მათ გაპიყიფთ წყალი ისეთ აღველებზე, სადაც ცხვრებს სამელი წყალი სამყოფად არა აქვთ, სწერდენ სიძოვრებს ქვებისაგან აშენებენ სიძოვრის გარეშემონა ქვეს ყრჩებს და სხვა.

ყოველი შეეიცარელი მცხვარე აუცილებლად ამზადებს საზაფხულო სიძოვრებზე საზამთროდ სიკებად თივეს მარაგს ცხვრებისათვის და მას არ ეშინაა არც თოვლისა და არც ყინვებისა, რადგან მისი ცხრები უზრუნველ ყოფილი არიან მთელი ზამთრის განმავლობაში საკუთესო თივით.

აუკალებელი საჭიროა ქრონიკალ მეცხვარეებისათვისაც წვრილ კონპერატიულ აქცენტობებიდ შეერთება, რომ ერთად აიღონ საზაფხულო სიძოვრები და წესიერად მოიხმარონ ისინი, რომ თავისი შტიმეზრობა ინიაზლოურონ და რაც შეიძლება მეტი შემოსავალი მიღლონ.

მეტივაზი მეცხვარეები გაერთიანებული არიან კონპერატიულ კავშირებად. მათ აქვთ თავისი მატყლის და სხვა და სხვა ცხვრის

ნაწარმოებების საწყობები. ყოველივე ეს დიდ დახმარებას უწევს მათ  
ნაწარმოების მოგროვე აში და გასაღებაში. ჩვენშიაც არის მეცნა-  
რეთა ამხანაგობა „მწყუმსი“ და სხვა მეცნარეთა კაცირები, რომ-  
ლებიც დიდ დახმარებას უწევენ მეცნარეებს, მაკალ. თუშურ მატყუზე  
სამართლიანი ფასების დაწესებაში, საძოვრების საკითხის მოწესრი-  
გებაში და სხვა. შეამხანაგებას და შეკავშირებას ყველაზე დიდი სარ-  
ვიბლობა მოაქვს. ამიტომ საჭიროა ყველა წვრილი მეცნარე შეკავ-  
შირდენ და შეამხანაგდენ, რომ შეერთებულის ძალით უფრო კაოგად  
და სარგებლიანად აწარმოეონ მეცნარეობა.



სუ- 1. თუშური ცხვარ.

ამ რიგად, ყოველ მეცნარეს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ აქ,  
სადაც საზაფხულო საძოვრები ცოტად თუ ბევრად გაფუჭებულია,  
ასეთ საძოვრებზე ცხვრების რაოდენობაც უნდა შემცირდე; მაგალი-  
თად, თუ წინად ერთ დესიატინა საძოვარზე 6—8 ცხვარი მოდიოდა,  
ეხლო მხოლოდ 3—4 ცხვარი უნდა დაიშვე. ს.

ამას გარდა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ზოგიერთ  
საძოვრებზე ბალახის გაუმჯობესება, რისთვისაც საჭიროა ბალახის  
თესვის შემოლება.

მეცნარე რომ სუსხიან და თოვლ-ყინვიან ზამთრისავან არ იყოს  
დამოკიდებული და თავისი ცხვრები გაწყვეტას და გამჭვევებას გა-  
დააჩინოს, ამისათვის საზაფხულო საძოვრებზე აუცილებლად უნდა  
დაამზადოს თივის საქმარისი რაოდენობა ზამთარში ცხვრების გამო-  
საკედებად.

შემთებ, მეცნიერების კოოპერატიულმა ამხანგობებზე საძოვ-  
რებზე წყალი უნდა გაიყვანონ, ან იუზები გააქეონ ცხერების წყლის  
დასალევინებლად, სადაც წყალი სამყოფად არ იშოვება. ამას გარდა  
დრო გამოშვებით საძოვრები უნდა გაიშემინდოს ქვისაგან და ის მო-  
ხმარდეს ყორების აშენებას მის გარშემო.

იქ, სადაც ტყე და ბუჩქნარი მოიპოვება, მ.ს დაზოგვა უნდა და  
არ უნდა მოიჭრას, რომ საძოვრები არ გაფუჭებას. ტყე და ბუჩქები  
საძოვრებს პატივობენ დიდი წევიშების დროს ჩამორცხებისა და მო-  
სილვისაგან. ბშირად ასეთ წვიმებს სრულიად მიაქვთ ბალახით და-  
ფარული მიწა და მხოლოდ მოტიტელებული ქვიანი ადგილი რჩება,  
თუ საძოვრებს ტყე არ პატივობს.

უფრო ცუდ მდგომარეობაშია ჩენი მეცნიერები ზამთრის საძოვ-  
რების უქონლობის გამო. საქართველოში ზამთრის საძოვრების სიცო-  
ტავის გამო ჩენ მეცნიერებს უხდებათ ცხვრის გადაყვანა სხვა მე-  
ზობელ რესპუბლიკებში, სადაც ბევრი კარგი საზამთრო საძოვრები  
მოიპოვება, მაგალითად ყიზლიარის (მთიელთა რესპუბლიკაში), აზერ-  
ბეიჯანის და სხვა. ზამთრის კარგი საძოვრები, განსაკუთრებით მაღაშ-  
ნარი ადგილების საძოვრები, ძალიან კარგად მოქმედობს თუშერ  
ცხვ რჩე: ტანი უმრგვალდება, უსუქდება და უდიდლება დუშა და გა-  
ზაფხულისათვის შედარებით მეტ მატყულს იძლევა. მაგალითად ზამ-  
თრობით ყიზლიარში ნაძოვი მოზრდილი ტანის ცავარი ერთ მოკუე-  
ჭაზე 4—8 გირვანქა გაუშენდელ (გაუზეცხელ) მატყულს იძლევა, მა-  
შინ როდესაც ას თივე ცხვარი ზამთროდ ჩენ საძოვრებზე დარჩე-  
ნილი, მხოლოდ 2-ნახევრიდან 4 გირვანქამდე გაუშენდელ მატყულს  
იძლევა.

თუ ზამთარში კარგი ამინდები დადგა, თუ დიდი თოვლი არ  
მოვიდა და დიდი სიცივეები არ დაიჭირა, იმ შემთხვევაში თივის  
მთელი მარაგი შეიძლება მოხვარდეს საკედად სუსტ დედა ცხვრებს  
და ბატქნებს. დანარჩენი ცხვარი საძოვრებითაც კარგად გამოიკვე-  
ბავს თავს.

იმ შემთხვევაში თუ დიდი თოვლი მოვიდა და ხანგრძლივი ყინ-  
ვები დაიჭირა ცხვრებს დასჭირდებათ თივით კვება, სანამ თოვლი  
არ დადნება; ასეთი კვებით, გაძხდარი და დასუსტებული ცხვარი  
სწრაფად მოლონიერდება.

უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ თუ ზამთარში ცხვარს კარ-  
გი ტანი დაურჩა, გარდა ჯანსაღ და მაგარ ნაშენისა, გაზაფხულზე

ატყულს და ყუილსაც მეტს მოგვცემს, უფრო აღვილად გადიტანს შემ-  
რეული საზაფხულო სიმღრებზე გადარეკვეს და უფრო ნაკლებადაც  
დავარდება.



ცა . 2. ცხვარის ქალება



თუ თუშური ცხვარი ზამთარ-ზაფხულ კარგად იკვემდებად და მომ-  
თრობით თივას ვაშველებთ, შეიძლება თვითეულ ცხვარიდან ყოველ-  
წლიურად, ხორცისა და ქონის გარდა, ზედმეტი 3—4 გორვანქამდე  
გაურეცხავი მატყლი და რამოდენიმე გირვანქა ყველი მივიღოთ. კარ-  
გად გამოკვებილ დედალ ცხვარს შეუძლია კარგად გამოკვებოს ბატ-  
კანიკა, ბატკანიანობა იშვება თებერვალში, როდესაც საზამთრო სა-  
ძოვანზე ძველი ბალახი თითქმის გამოლეულია და მწვანე ბალახი კი  
ჯერ არ არის ამოსული. ამიტომ თუ ცხვარი ზამთარში ცუდათ კვე-  
ბის გამო გამხდარია, ის კარგად ვერ გაზრდის ბატკანს. კარგად ნა-  
კვები დედების ბატკანები კი სწრაფად იზრდებიან, განსაკუთრებით  
მაშინ, როდესაც გამოჩნდება მწვანე ბალახი და სავსებით შემაგრდე-  
ბიან საზაფხულო საძოვრებზე გადაყავანამდე. მაშასადამე საზაფხულო  
და საზამთრო საძოვრებზე ცხვრების წესიერად კვებით შეიძლება მე-  
ტი ნაწარმოების და მოგების მიღება. ცხვრები კი შეინარჩუნებენ თა-  
ვის ჯანმრთელობას და შთამომავლობასაც კარგს მოგვცამენ.

საძოვრების გარდა ცხვრების მოშენებაში დიდი მნიშვნელობა  
აქვს ვერძების შერჩევასაც. ვერძები ხშირად ძლიერ ახალგაზრდები  
არიან, განუვითარებელი და მახინჯები გარეგნობით; მაგალითად,  
ძლიერ წვრილი კისრიანი, ვიწრორო და პტეველი მკერდიანი ჩაღვერილ  
ან მოკუჭულ წელით, მოგრეხილ ფეხებით და სხვა, ან კიდევ ძლიერ  
ხნიერები და უნაყოფოები.

ბშირად ასეთი ცუდი ვერძით ამაკებრნ ახალგაზრდა უშობელ  
ბატკანებს, რომლებსაც სრულ განვითარებამდე არ მიუღწევიათ. რა  
თქმა უნდა ასეთი მშობლებიდან სუსტი, უძლეური და უნაყოფუ შთა-  
მომავლობა განვითარდება. თუ დედა ცხვარი ხნიერ და დასუსტებულ  
ვერძის მიერ მაკლება, იგი უშერეს შემთხვევაში ბერწდება და ნაყაფს  
არ იძლევა. ამასთან ერთად დაუშევებელია ცხვრების ნათესაობითი  
გამრავლება, რასაც შედეგად ცხვრის გადაგვარება და დაწვრილება-  
ნება მოჰყვება ხოლმე.

დაპოლოს ცხვრის ფარის გამრავლებით დახარბებული გამო-  
უცდელი მეცხვარეები ხშირად სანაშენოდ განუვითარებელ ბატკანებს  
სტოვებენ ხოლმე, საუკეთესოების შერჩევას არ აწარმოებენ არც ჯა-  
ზითხულზე და არც შემოდგომაზე, რომ სანაშენოდ საუკეთესო და ჯან-  
სალი ბატკანები დასტოვონ.

ამერიკელები, მაგალითად, აღრევე გამოჰყოფენ ხოლმე ახალ-  
გაზრდა ვერძებს და უშობელ ბატკანებს, რომ არ მოხდეს მათი უდ-

როვთ შეერთება. გასამრავლებლად ისინი საქმაოუ განეთარებული მხოლოდ ცხვევებს და ვერძებს უზევებენ. აგრძოვე დიდ უზრადლ ბას აქციენ სანაშენო ცხვრების შ რჩევას. სანაშენოდ ისინი მხოლოდ ისე-თებს სტოკებენ, რო მაღალი ჯანსაღ, ნაყოფიერ და ბევრი მატყლის მომცუმ მშობლების შთამოავალია.

ამერიკელი მეცხვარები საინელი გულმოლგინებით აწარმოებენ ამ შერჩევას: არ ზოგადენ ფულს, რომ თავის ფარისათვის ს უკ თესო, ტანკვანი, ჯანსაღი, კარგ მატყლიანი და ნაყოფიერი ვერძები შეიძინონ.

ამერიკელები ამპობენ, რომ კარგი ვერძი ნახევარი ფარის ფასი ლიტრი. ხშირად ვერძებს სხვა ადგილებრივან იწერენ. ზოგჯერ უკეთ ქვეყნებიდანაც. მათ კარგად ესპინ, რა მნიშვნელობა აქვს კარგ ვერძის ფარის გასამუშაოს სტანდალ, რადგ 6 ბაზ ერთი წლის განველობაში შეუძლია თავისი კარგი თვისებები 40--50 ბატკანს გადასცე. სამ წელში კი მას შეუძლია გააუჯებესოს 150 ბატკანმდე, მაშინ როდესაც ცხვარს ამ ხნის განაავლოა. ში მაღლოდ 4—5 ბატკანს შეულია გადასცეს თავისი კარგი თვისებები.

ჩვენ მეცხვარეებისათვის აუკალებელ საჭიროებას წარმოადგენს საჯიშეთ საკუთხესო ვერძები და დედა ცხერები დაიტოვონ, რაც შეიძლება დიდ ტანიანი, ლონიერები, ჯანსაღები, ნაყოფიერ მშობლების შთამომავალი, დიდ გ მოსავლიანი, წმინდა ჩბილი და ბზინვარე მატყლით, შეძლების დაგვარად ერთი მეორის მგვანი და სრულიად უწაელო.

საჯიშო ვერძი უნდა იყოს მოშრუილი ტანისა, მაგარი ავებულობისა, ფართო მეტადიანი და სწორი ფართე ზურგით, მოკლე და ლონიერ შორიშორს გადგრულ უეხებით.

განსაკუთრებით დიდ თ ფასზება ისეთი ვერძი, რომელიც თავის მგვან მთამომავლობას იძლევა.

საჯაშე დედა ცლაბიც დაზა ტანიკანი, განიერ მკრტანი, სწორი და განერ ზორგიანი, კარგად განვითარებულ ძემუებით და დაბალ ფეხებიანი უნდა იყოს.

არც ერთ სანაშენო ცხვარს არ უნდა ეტყობოდეს გადაგვარების ნიშნები, მაგალითად, გრძლი კისერი, წინ წაშვერილი თავი, პატარა წარმოირჩეს ჯოგიდან.



სამოქანაკთხი

თანაბრძო კარგად განვითარებული და ერთნაირ მშობლების ბაზე ქნებიც სუჟეტების გამოდიონ, რასც ქართული ან-დაზაც ამოწმებს: დადა ნახე, მარა ნახე, შერლი ისე გაძონახეო.

ჩვენ მეცხვარეებში ათასში ერთხელ შეხვდებით ისეთ გამოცდილს, რომელიც ზამთრობით კვებავდეს ჩაკე ცხვრებს და ბატებს, არჩევდეს საუკეთესო ცხვრებს საჯიშოდ, მის ფარაში ნათესაურ გამრავლებას არ შეკონდეს დაგილი, ზამთრისათვის არ იტოვდეს ხოლმე სუსტს, უჯანი და ყოველგვარ ნაკლინ გერძებს და ცხვრებს და საზაფხულოდ და საზამთროდ სუჟეტების საძოვრებს არჩევდეს.

რომელ ჯიშის ცხვრის არჩევაზე უნდა გაჩერდენ ბოლოს და ბოლოს ჩვენი მეცხვარეები?

ზემოდ იყო ნაჩენები თუშური ჯიშის ცხვრის უპირატესობა, რომელიც ჩვენებურ მოვლის და კვების პირობებში სხვაზე ჯფრო ნაყოფიერი და შეროსავლისათვის. თუშური ჯიშის ცხვარი, როგორც საუკეთესო ჯიში, უნდა მოვაძმოთ საქართველოში გარაფლებულ სხვა ჯიშების, მაგალითად ოსური და იმერული ცხვრების გასაუმჯობებელებად.

თუშური მატყული, როგორც თხელი საფაპრიკო მაუჯების გამოსამუშავებლად ისე შინა მრეწველობის ნამთადისათვისაც ერთნაირად გამოსადევია. ოსური ცხვრის მატყულისაგან კი უფრო უხეშ ქსოვილებს აკეთებენ და მისი ღია ფერებად შეღება საძნელოა, რადგან თვით მატყული ან შავია ან რუხისაა. წმინდა მატყულიანი მერინოსის ცხვრები, რომელებსაც წინადა ძროვებდენ ტრუთის ხეობაში, თუმცა ძლიერ წმინდა ნატყულს იძლეოდენ, ზაგრამ ჩიკნებურ პირობებს ვერ უძლებდენ, დრდ მოვლას და კვებას მოითხოვდენ. ასეთი ცხვრები ჩვენ გლეხურ გეფრანებაზი მ. ლე ამოწყდებინ. ამის გარდა მათ ირ შეუძლიათ გადიტებონ იმ დროი მანძილების გადაცლა, რაც უძლება ჩვენ თუშურ ცხვრის საზაფხულო საძოვრიდან საზამთრო საძოვებრივი გადაყვანის დროს.

ჩვენი ჰავის და კვების პირობებში შეიძლება გაძლონ ბუხარის და კარაკულის ცხვრებმა, რომელებსაც ამრივლებენ ზუხარაში. ისინი უფრო მაგრები და ჯანს ღები არიან.

ბუხარის ცხვარი ძლევა საგანგებო ტყავს. ის ღიაზე და ბატების ძურექი ძლიერ ძერად ფილოს. ინისგან აკეთებენ გორებებს, ქალების პალტოებს, მულტებს და სხვა. ბუხარის ვერძის და ოსური



ცხერის შეერთებით, ოსური ცხერის ტყავი შეიძლება შედარჩებოდეს.

პირველში ბუხარის ცხერები უნდა გავიმრავლოთ აგრონომების შედამხედველობის ქვეშ. შემდეგ ასეთი ცდისა მათი ყოლა შესაძლებელი იქნება სახალხო მამულებში, მეცხვარეთა კოოპერატულ ამხანაგობებში. შემდეგ კი გლეხებიც შეიძლება მიყონ ხელი მათ გამრავლებას.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ბუხარის ცხვარი ტანით თუშურ ცხვარზე უფრო მეტია და ხორციც კარგი ღირსების აქვს, მხოლოდ მატყლი უფრო უხეშია, ერდოვ თუშური ცხერისა.

მიუხედავად იმისა, რომ თუშური ცხვარი ღირსებით მაღლა სდგას, მარც სკირდება მას ტანის მომატება, გამოსავლიანობის გადიდება, რომ ჩემი მეცხვარებებმა შესძლონ დაცემისაკენ წასული ჰელოსავლიანობა ჯეროვნ იმისღლებე ასწიონ. რადგან მცხოვრებთა რიცხვი საქართველოში იზრდება, იმის გამო საძოვრების წოდებით თანდათან კლებულობს და სახნაფ-სათესავ დაგილებად გადადის. მეცხვარებისათვის ისეთი დრო ფასის გადახდა საძოვარში, როგორსაც იზღიან მიწის მხენველ-მთესველები პურის და სიმინდის დასათვეს მიწებში, შეუძლებელია.

მეცხვარემ რომ მიწის მუშის შეცილება შესძლოს, ამასათვის მან უნდა თუშურ ცხერების შემოსავლიანობა ჯაადიდოს, წინააღმდეგ შეცხვევები, მ.ნ ცხერის რაოდენობა უნდა შეაციროს და ან სხვა საქონელი მოშენოს, რომელიც მას მეტ შემოსავილს და სარგებლობას მისცემს ეიღოვე ცხვარი.

რა გზით შეიძლება თუშური ცხერის გამოუმჯობესება, რომ მივიღოთ მისგან მეტი შემოსავალი, რომელიც საზიაფხულო და საზიამორო საძოვრების დიდ ფაქტისაც დაფინანსეს, მეცხვარეობაში გაწეულ ხარჯებსაც აანაზღაურებს და საშუალებასაც მისცემს მას შეიძინოს ყოველივე ის, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მისი ოჯახისათვის.

თუშური ცხერის გაუმჯობესება შეიძლება მხოლოდ საჯიშე ცხვრების გულმოდგინეთ გადარჩევით: ეს ჩვენი ცხვრების გასაუმჯობესებელი საშუალება თუმცა ძლიერ იაფია, მაგრამ სწორი გზაა და რამოდენიმე წლის შემდეგ კარგ შედეგებს იძლევა.

ამასთანავე დიდი ძნიშვნელობა აქვს ცხვრების სულ თავიდან-



ვე, ბატქნობიღანვე კარგ კვებას. მოზარდი ბატქანი მეტად მოვლას და კვებას მოითხოვს. ბატქანს თუ თავიდანვე არ ექნა შესაფერისი მოვლა და კვება და ზრდაში ჩამორჩა თავის ამხანაგებს, მერე თითქმის ვერასოდეს ვერ შესძლებს ტანის მოყრის ისე, როგორც საჭიროა.

ძოვის დროს მძლავრი ბატქნები იჯამნებენ უძლურებს, რის გამოც მათი საქმე უფრო უკან მიდის და თანდათან უფრო უძლურდებიან და ამის გამო უვარგისი ცხერების რაოდენობა ფარაში გაიზრდება.

გაზაფხულზე და შემოდგომაზე ჯოგი უნდა გაიწმინდოს, რომ არ დარჩეს არც ერთი უვარგისი ბატქანი. ბატქანი უნდა იყოს მოზრდილი ტანის, სწორი აგებულობის მატყლით კარგად დატარული; ფეხები უნდა ჰქონდეს მაგარი და მოკლე. პატარა ვერძები აღრევე უნდა დაცილდეს ბატქნებს, და ცალკე უნდა სძინონ, რომ ნაადრი შეერთება არ მოხდეს, თორემ შთამომავლობა წერილი, სუსტი და უნაყოფო გაძოვული.

არ უნდა დაიშვას ნათესაური გამრავლება ცხერებში. არ შეიძლება, მაგალითად, ვერძის შეერთება მის შთამომავალ ბატქანზ ნ, ან კადევ პატარა ვერძის თავის დედაზე გაშვება. ვერძის მიშვება შეიძლება  $1\frac{1}{2}$  წლიანისა ბატქნისა კი  $1\frac{1}{2}$ —2 წლიანისა. ახალ გაზაფხულა უწერებს ადლევნ წელში 20—30 ცხერამდე და თუ დასრულებული ვერძია 40—50 ცხერამდე.

დრო გამოშევებით ფარაში საჭიროა სისხლის განახლება. ამისათვის მახლობელ ფარაში უნდა ამოირჩეს იმავე ჯაშის ვერძები.

ფარაში ვერძის ხმარება შეიძლება 2—4 წლამდე; ამის შემდეგ ვერძის ტანი უმძიმდება და ზახტად ამაკებს ცხერებს. მოლლილ ვერძება უნდა შეუნაკვლოდ ახალგაზრდა და ჯანით სავსე უერძები, თორუმ ბერი ცხერები დარჩებიან ბერწად. დედა ცხერის შენახვა შეიძლება 8—10 წლამდე თუ ნაყოფიერებას არ დაჰკარგავს და მაგარ და ჯანსაღ ბატქნებს იძლევა. დიდ ტანიან ცხერების გამრავლების მიზანი აღვილი მისალშევია, თუ მშობლებაც თავიდანვე ასეთებს შევარჩევთ. თუ რამოდებიმე თაობის განმავლობაში ტანოვან ვრძებს მიუშვებთ ტანოვან ცხერებზე და ბატქნებსაც წესიღრი კვება გენებათ, ბოლოს მათი შთამომავალი ძომიმატებს სიმაღლეს და ხორცის გამოსავალს. შემდეგ უნდა შეუდკეთ ისეთი ცხოვრების შერჩევა.

ვას, რომ მატყლის გამოსავლიანობაში მოიმატოს, შემდეგ მატყლის ლირსებამ, ბოლოს რის ლირსებამ და სხვა. ყაუელივე ად ლისებების გაუმჯობესება უნდა ხდებოდეს თანამდებობით ერთი მეორის შემდეგ, ერთად კი შეუძლებელია—მეტი ცოდნა და შრომა უნდა მოვახმაროთ პირველში მეტად ძვირფას ლირსებების გასაუმჯობესებლად ე. ი. ხორცისა და მატყლისა.

ჩეენი ცხერების ხორცისა და მატყლის მხრივ გაუმჯობესება შეიძლება სხვა საშუალებითაც. ეს საშუალება არის უცხო და კარგი ჯიშის ვერძებთან ადგილობრივი ცხვრების შეერთება. ბაგრამ ეს საშუალება ძლიერ ძვირი ჯდება, რად ან უცხო ვრაძით გამრავლება არ არის ისეთი საიმედო, როგორც ადგილობრივი ზერჩევა. გარდა ამისა უცხო ვერძის და ჩეენი ცხვრის შეერთებიდან გამოდის სხვადასხვა გვარი და აჭრელებული შთამომავლობა და ხშირად წინაპრების ნაკლის თანდაყოლით. ჩეენებური ცხვრის ჯიშის გასაუმჯობესებლად უფრო შესაფერისი და გამოსადეგია ინგლისური მოკლე მატყლიანი ცხვრის ჯიში, რომელიც საქმარისი ამტანია და განთქმულია დიდი წონით საქმარისი მატყლის გამოსავლიანობით.

ასეთი ცდები თუშური ცხვრების გაუმჯობესებისა 40 წლის წინად სწარმოებდა ყუბანის ოლქში და კარგი შედეგები მიიღეს: ინგლისურ-თუშური ბატქნები ცოცხლად 2 ფუთს იწონიდენ და 2 წლის ცხვრები 6 ფუთამდე იდიოდენ. ამასთანავე მატყლსაც მეტს იძლეოდენ.

შედეგ, თუშური ცხვრის გამოსავლიანობის მოსამატებლად საკიროა მატყლის პარსეის, მოგროვების, გახარისხების, გარეცხვის და შეკვრის მოწესრიგება.

ავსტრალიელები თავის ცხვრების მატყლს 5—6 ხარისხად ჰყოფენ იქვე, სადაც პარსევნ. ისენი ერთ მანეთში არ ურევენ მოწიფულ ცხვრების და ბატქნების მატყლს, კვდრის და ცოცხალი ცხვრის მატყლს და კარგ ადგილებზე მოქრეჭილს ცუდ ადგილებზე მოკრეჭილში.

ჩეენში მეცხვარეებმაც უნდა შემოილონ მატყლის დახარისხება იქვე ადგილო რიგად, სადაც ცხვარი იპარსება. ადგილობრივად დახარისხებული მატყლი ცალკე ტომრებში უნდა ჩაიდგას, თორემ როდესაც მატყლი ერთად არის, ძლიერ ირევა ერთი მეორეში გადმოტანის დროს და ქალაქის საწყობებში მისი დახარისხება ძლიერ საძნელოა.



ჩეენი ცხვრების მატყლზე დაგროვილი ჭუქური უმეტესოდაც მოშენდა. თრის განმავლობაში გაზაფხულზე შეიძლება გაიბანოს ღელე მდინარეებზე ცხვრების გადარეკით.

ასეთ დახარისხებულ მატყლში, გარეცხილში, სწორა შეფუთულში და დატკეცილში ჩვენ მეცხვარეს შეუძლია მიიღოს უმალესი ფასი. მატყლი უზრუნველისია კოოპერატივებს მიყიდოს, რაღაც კოოპერატივებიდან მეცხვარეებს შეუძლია მისაწილომ ფასებში, მიიღონ ფქვილი, მარილი, ფართლეულობა და ყველა პირველმოთხოვნილების საგნები.

თუშური ცხვრის ხორცის და მატყლის ლირსების გაუმჯობესების შემდეგ სასურველია აგრედავ რძის ნაწარმოების გადიდება; ამ მიზნისათვის საჯიშოდ უნდა იქნას დატოვებული უფრო კარგი მაწველი ცხვრები, და მაწველი დე იებიდან წარმოშობილი ვერძები. ცედი მეწველი ცხვრები უნდა გადირჩეს ფარიდან.

თუშური ყველი მიუხედავად ამისა, რომ გემრიელია, ხშირად შიგ ცხვრის ბეჭვა, ჭუჭური და სხვა რამეებს ვხედებით. ეს უკარგავს მას ლირსებას და ფასს.

ყველის გაკეთების დრის თუ ის კარგად არ გაიწურა შრატი-საგან, შეჩახვის დროს დიდხანს გაძლება უჭირს.

თუშური ყველი, როდესაც მწიფუდება მარილ წყალში, უმეტესად ზატხულობით ასეთ მარილ-წყალს ძლიერ მლაშეს აქეთებენ, როს გამოც ყველი, როგორც საჭიროა, ისე ვერ მწიფუდება და ხდება მაგარი, გამომშრალი და მეტი მარალიანა. საჭიროა თუშური ყველის კეთების გაუმჯობესება. ყველი როგორც საჭიროა, ისე უნდა გაიწუროს ამოყვანის დროს და ჩაიდგას სათანადო სიმაკრის მარილ წყალში. თუ რა სიმაგრე უნდა ჰქონდეს მარილ-წყალს, ამის გამოჩევევა ადვილია ქათმის კვარცხის საშუალებით: საჭირისი სიმაგრის ხ. ნარში ჩაგდებული კვერცხები იმდრენად ჩაიყვანთავს შიგ, რო დარჩება დაუფარივად ვერცხლის აბაზიანის ოდენა ადგილი. თუ ეს ადგილი უფრო პატარა უნდა მოხარული წყლის დამატება, და თუ მეტი იქნება, უნდა ჩაგდატოს მარილი.

ასეთ ხსნარში თუშური ყველი წესიერად მწიფუდება და მლაშე გემო არა იქნას. ცხვრის ყველის შესანაზი მარილ-წყალი თუ კასრში ან სხვა მწალროდ დახურულ ჭურჭელში ინახება, შეიძლება ცუდი




ეროვნული  
ბიბლიოთეკი

სუნი აუვიდეს, რომელიც ყველზედაც მაღე გადაღას; მე შემოჰყევაშია ასეთი ხსნარი უნდა გადიქცეს და მას მაგივრად აჩალი გაკეთდეს.

საუკათხესო ღირსების ცხერის ყველს თუშები და ოსები ამშა-  
დებენ დუშეთის მაზრაში ტრუაოს ხეობაში (კობის ყუელი). შედა-  
რებით უფრო გლოხად ამზადებენ ყველს მთიულები ფასანაურის მი-  
დამოებში. მეტის მეტი ცუდი გამოდის ღალა მოხდილი, ან ნალებად  
მოხდილი რძის ყველი.

სტამბა გაძეო ჭარია ვოსტოკა"-ს, საშო წულუკიძის ქუჩა, № 4.  
შეკვ. № 1876. ტიკაფი 4000 პიავლიტ № 780.



თითო წიგნაკის ფასი 10 პაპ.

## მომღერალის გარემონდა

პარტიის კომუნისტურედებში და ხალგაზრდათ კომუნისტი, უჯრედებში, სოფლის კომერციულიებში, აგრონომებთან, აგრონომ ულ პუნქტებში როდესაც ქალაქში ჩამოხვა ლო, ყველა წიგნის მიღაინაში, „გლეხის ბიბლიოთიკის“ წიგნები.

### მესაქონლეობა

1. მუშა ხარის ამორჩევა.
2. მუშა ხარის შენახვა
3. ოფერა უნდა აერჩოთ მუშა ცხენი.
4. ცხენის მოვლა და შენახვა
5. რით და ოფერა ვეკუროთ ცხენი.
6. ცხენის სწორებისი და წამლობა.
7. ლორეას მოშენება.
8. ლორეს გასუჭიბა.
9. ლორის ჯიშის გაუმჯობესობა.
10. ლორის ს. ნ.
11. ცხვარი.
12. ცხვრის წისიერი კრეჭა.
13. ცხვრის ავადმყოფობა და წამლობა.
14. საქონლის ჭირი.
15. თურქულ.
16. ციმბირის წყლილი.
17. საქონლის ცივცხველ ბა.

ამ წიგნების გარდა, „გლეხის გაგლიოთებას“ ადგე წიგნები შემდეგ დარჩებილა

მებოსტნეობიდან,

მებალეობიდან,

მერძეობიდან,

მემია დვრეობიდან.

მევენას ობა მაღვინეობითან,

მეცუატეობიდან,

საქონლის ხაკვები,

მებრეშუმეობიდან,

მეფრინველეობიდან,

მითამბაქონობიდან

— გლეხის ბიბლიოთეკის არეაქციო კოლეგია:  
აბესაძე, ათაბეგოვი, გი-იაგრია, კაცაულოვი, კვარაცხელია, კეცხოველი, მაისურიანი, სინაძე ტრიმოვევი დემურიშვილი.

თანა გშროვლობენ: აბესაძე, ათაბეგოვი, აღნარშვილი, ბიბილაშვილი, ვერმიშვილი, იაშვილი, კანდაულოვი, კვირაცხელია, კრბელაშვილი, კეცხოველი, კლერი, ლორეული, ქ. ერისთავი, მაყაშვილი, მაისურიანი, მირიანიშვილი მის. მის ან. შეიძირ ლის., ნაკანიარ, ვახუნივი, სანაძე, სამიდაშვილი, სრურ-ოსელსკი, სოლაკაძე, ტიროვაშვილი მის. ჩოლოებაშვილი, წერილი. ჭილ-ძი. ხოფილი, ელ ე-ისტოდი.

# ნიგნეპის ფასი 10 კპ.



2008 წლის 10 მარტის ადგილობრივ ცას-ზე ქვეყნის გარემონტის, თანახმად  
კაროლისტი, პასუხისმგებელი იყო -  
გვ. ვიკეტშვილი.

